ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1012 ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი 1913 წ. № 1012

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 8—4.

ხუთშაბ., 10 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება პირველად ახალი პიესა:

უნიადაგონი

4 მ. ვალ. შალიკაშვილისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი, მდივანი, ჯავახიშვილი, თოიძე. ბ-ნნი: ბრადელი-იმხნელი, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მეხსი, წუწუნავა, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება „სინათლე“. 147

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 9 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოხიარულმის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა**, რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის იუწდომელ ნაწრებს. სანახაობათა-სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი!

ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჟენიან ველოსიპედზე „ლანდემ“-ზე ცარკიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საზედისწერო გადახტომა“—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თავში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოიპოვება ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს **„4 ეშმაკი“** და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა განთქმული გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის **m-le ნაცისა** დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.

გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 8³/₄ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 საათზე.

წარმოდგენა დაიწყება საღ. 7 ნახ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონსი: ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს ბენეფისი 4 ეშმაკისა. 689

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ზ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **ნიქოლაძე შ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1¹/ **ნიქოლაძე შ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1¹/₂. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1¹/₂—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2¹/₂.
კან. და ვენერ. ავ	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი დღეში 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შედავათიანი საფასურით. წ. 1035

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

იერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდელ-მთავარნი,	1 მ.
იხაშვილი პ. ქართ. კათოლიკენი,	10 კ.
ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა,	15 „
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით.	30 „
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლი	3 მ.
„ იგივე წ. 2-ე,	3 მ.
რუსეთ. დამყარება საქართველოში,	20 „
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ.,	2 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი	40 „
„ კახეთის ამბოხება,	60 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ.,	3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1 ლი,	40 „
იგივე წ. 2-ე,	1 მ.
იგივე წ. 3-ე	40 „
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით,	40 „
ახლად მიღებული წიგნები:	
ზოლა. „მაღაროებში მომუშავენი“, ი. ავალიშვილის ნათარგმნი,	85 კ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ.,	1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха.	40 „
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс, артилл. при II. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ.	70 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

ქართული თეატრი

დავით კლდიაშვილის საღამო.

პარასკევს, 11 ოქტომ., ქართულ თეატრში გაიმართება **საინტერესო**

სალიტერატურო საღამო.

I.

კოტე აბაშიძე წაიკითხავს ლექციას: **„ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე“.**

II.

დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და **ი. გრიშაშვილი** წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებთ.

III.

ალ. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას: **„ეროვნული შემოქმედება“.**

IV.

დასასრულ ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

დარისპანის გასაჭირი

კომ. 1 მ. დავ. კლდიაშვილისა.

დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. 1521

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფეიქრო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ქუთაისი — ვორონცოვისა მახლობ. და ქუთ. ქუჩ.

ქუთაისი

ფართლეულობის მაღაზია.

სავაჭრო სახლი

ს. კალანდარიშვილისა, ნ. ჩიქოვანისა და ნ. დავითაიასი,

გვაქვს მიღებული დიდი ასარჩევი **საზამთრო სეზონის საქონელი, იყიდება ხელ მისაწვდომ ფასად.**

ქუთაისი — ვორონცოვ. ქ., გვიმნაზიის შენობაში 1526

ტფილისის სავაჭრო ბანკის

გამგეობა

აუწყებს ბ-ნნთ აქციონერებს, რომ **კვირას, 10 ნოემბერს,** ამა 1913 წელს, დილის 11 საათზე, ტფილისის ვაჭართა საზოგადოების ბინაზე (**ბებუთოვის ქუჩა № 50**), ბანკის მე 61 § თანახმად, დანიშნულია

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

ტფილისის სავაჭრო ბანკის ბ-ნთ აქციონერებისა

განსახილველი საგნები:

1) უძრავი მამულის შეძენა ბანკის სავაჭროებისათვის.
2) ბანკის წესდების რამდენიმე § §-ს შეცვლა.
3) წესდების მე-68 § თანახმად, სარევიზო კომიის 5 წევრის არჩევა.
4) ბანკის განყოფილებათა გახსნის საკითხი.

ნარკვევი ბანკის წესდებიდან.

§ 57. სახელდობილი აქციების პატრონებს საერთო კრებაზე აქვთ ხმის უფლება, თუ გამგეობის წიგნებში შეტანილი არიან, არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, ამასთან საზოგადო კრებაზე დასასწრებლად საჭირო არ არის სახელდობილი აქციების წარდგენა.

§ 58) არ გამოცხადებულ აქციონერს, რომელსაც ხმის უფლება აქვს, შეუძლიან თავისი უფლება სხვას გადასცეს, რომელსაც აგრეთვე უფლება ექნება, ხოლო ერთს პირს არ შეუძლიან ჰქონდეს ორზე მეტი მინდობილება.

შენიშვნა. ხმის მისაცემი მინდობილობა წერილობითი უნდა იყვეს, რომელიც უნდა გადაეცეს გამგეობას არა უგვიანეს სამის დღისა საზოგადო კრებამდე. 1527

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მექრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 13 ოქტომბერს 1913 წ., დილის 11 საათზე, ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

დაიბეჭდა და იყიდება **მაღაროებში მომუშავენი** (ქვა-ნახშირის მთხრელები)

ემილ ზოლას რომანი მუშათა ცხოვრებიდან ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

ტფილისში 1) **ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.** 2) ცენტრალურ წიგნის მაღ. გოლოვ. პროსპ, 3) მერკვილაძის მაღაზიაში „ცოდნა“ 4) კიკნაძის წ-გნ. მაღაზ. გოლ. პრ. ქუთაისში: 5) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 6) ოცხელის წიგნის მაღაზიაში.

წიგნის ფასი 85 კ. ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში დაეთმობა 20 პროცენტი. 1519

ოთხკლასიანი ქალთა კერძო სასწავლებელი

მეორე ხარისხისა

კნ. ა. ლ. ჩერქეზიშვილისა

ალექსეევის ქუჩა, სახლი № 17.

მოწაფეები მიიღებიან პირველ და მეორე მოსამზადებელ განყოფილებებში: I, II, III და IV კლასებში. გამგის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე. 688

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოდ

ქ. ქუთაისში **კ. ი. ოცხელის და ამხ.** წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემა **ქართული სახელმძღვანელო**

„საქართველოს ისტორია“

მესამე გამოცემა სურათებით და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი **ბ. სიმონ ქვარიანის** მიერ წიგნი ღირს ყდით 40 კაპ.

„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“. ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას—ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესად დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უმეტეს მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორედ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორიას, მათ სკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს საგნებს შეადგენენ: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი არ იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნება გამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უმტკიცეს ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი სკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია.

ამ მოსაზრებით ამ სამი წლის წინად ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება, უძველეს დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოვიდა სახმარებლად მთელ საქართველოში, როგორც ეროვ და სამოქალაქო სკოლებში, ისე სამინისტრო და სასულიერო სასწავლებლებში. თავის მარტივი, გასაგები ენით და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემად ხუთი ათასი ცალი. გვწამს რომ მას შეხვდებიან ჩვენი სკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველ ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.

1510 გამომცემელი კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9¹/₂ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11¹/₂ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11¹/₂ ს.

ექ. ქალი ოსხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11¹/₂ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5¹/₂ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11¹/₂ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

მედიცინის დოქტორი
ი. გ. ჩუდნოვსკი
ნერვებისა და შინაგან ავადმყოფობა. წამლობა ელექტრონით და ემანაციით. რადია. მიიღებს ყოველ დღე, დილის 10—111, საღამოს 5—8 ს. კიროჩნის ქ. სახ. № 18. ტელ 1090.. 1528

ექიმი ი. ზ. გძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

კბილისა ექიმი ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი მ. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ქლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. ლიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **პრემიები საუკეთესო სახლებისათვის.** რუსეთის ქალაქების მსგავსად ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამას იქით პრემიებით დააჯილდოვოს ხოლმე იმ სახლის მეპატრონნი, რომელნიც საუკეთესო აღმოჩნდება ფასადის სილამაზის მიხედვით. პრემიების დანიშვნას აზრად აქვს, ხელი შეუწყოს ქალაქის გამშვენიერებას და ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად წაახალისოს სახლის პატრონები. პრემია სულ სამი იქნება: ოქროსი, ვერცხლისა და, ბრინჯაოს მედლები, რომელიც ყოველ წლის ბოლოს მიეცემათ წლის განმავლობაში აგებულ, ან დასრულებულ შენობების პატრონთ. იმ სახლებზე, რომლის პატრონებსაც პირველ ორი ოქროს და ვერცხლის მედალი მეცემათ, ქალაქის გამგეობა თავისი ხარჯით მიაკრავს მარმარილოს ფიცრებს და ზედ ოქროს ასოებით დააწერს იმ ინჟენრის სახელსა და გვარს, რომლის პროექტითაც იქნება შენობა აგებული. პრემიების დასანიშნავად არჩეულ იქნება საგანგებო ჟიური, რომელშიაც შევლენ: ქალაქის გამგეობის ყველა წევრი ქალაქის მოურავის მეთაურობით, ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის ყველა წევრი, ქალაქის სამი ინჟენერი (ქალაქის გამგეობის სატეხნიკო საბჭოს არჩევით) და სამი წარმომადგენელი საუკეთესო ხელოვნებათა წამქეზებელ კავკასიის საზოგადოებისა. ქალაქის გამგეობამ დაავალა ამ საქმის ინიციატორს გამგეობის წევრს თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, ამ საკითხის გამო შეადგინოს ცალკე მოხსენება, რომელიც დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს წარედგინება.

✦ ცეცხლისაგან დამზღვევ საქალაქო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრს ხმოსანს ს. ა. მინეევს სამსახურის ვადა გაუთავდა. 7 ოქტომბერს ახალი არჩევნები მოხდა ქალაქის საბჭომ კვლავ ს. ა. მინეევი აირჩია.

✦ **ხორცის ნიხრს** რამდენად ასრულებენ ყასბნი, სხვათა შორის, სჩანს იქიდანაც, რომ ნიხრის დარღვევისათვის წელს ყასაბთათვის 2,000 ოქმზე მეტი შეუდგენიათ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო აგენტებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მყიდველი ყასაბთაგან შემოღებულ ნიხრს ემორჩილება და სავაჭრო-სამეურნეო აგენტთან არა ჩივის.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ დ. ონიკაშვილისა. წიგნი დაბეჭდილია გორში ლამაზად და კარგს ქაღალდზე, შეიცავს 48 გვერდს და ჰღირს 25 კ.

✦ რედაქციამ მიიღო გ. ხეჩუაშვილის ისტორიული პოემა „საქართველოს გმირი“ (დიდი „მოურავი გიორგი სააკაძე). წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს ოთხ აბაზად.

✦ **უვარგისი ფქვილი.** გუშინ მეექვსე საპოლიციო უბნის ბოქაულმა სავჩუკმა და სასანიტარო ექიმმა ზაბლუდოვსკიმ კახეთის მოედანზე, მეპურის გ. ხოჯიკიანცის საწყობში აღმოაჩინა 473 ტომარა (2,365 ფუთი) მწარე და აყროლებული ფქვილი. ტომრები დაბეჭდეს და ნიმუშები ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გაგზავნეს გამოსაკვლევად.

✦ **ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზარი** 5 ოქტომბერს დაათვალიერეს წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოსწავლეებმა, ხოლო შვიდს ოქტომბერს—მამადავითის პირველ-დაწყებით საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა, რიცხვით 100 კაცამდე.

გამოფენა-ბაზრის საექსპერტო კომისიაში ექსპონანტების მხრივ წარმომადგენლებად მიიწვიეს: გორის მაზრის მემამულე თ-დი დ. ნ. დიასამიძე და ახალციხის მემამულე ს. ბ. ათაბეგოვ-კობლიანსკი. ამ ჟამად საექსპერტო კომისიაში 17 კაცია.

საექსპერტო კომისია ამ ჟამად 4 მცირე კომისიად არის დაყოფილი და დავალებული აქვს, შეაგროვონ ცნობები ექსპონანტების მეურნეობის შესახებ და კომისიას წარმოუდგინონ თავისი დასკვნით. პრემიების განაწილების წეს-რიგი საბოლოოდ შემუშავებულია. საექსპერტო კომისიას აზრად აქვს, სხვა მცოდნე პირებიც მიიწვიოს კომისიაში, თუ საჭირონი იქნებიან. საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი. საექსპერტო კომისიას ორი კრება უკვე ჰქონდა. მესამე კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ გუშინ ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს წარუდგნენ ქალაქის სკოლების მასწავლებელ-ქალთა დელეგატები მასწავლებელ ქალთათვის ჯამაგირების მომატების საკითხის გამო.

✦ **საქალაქო დებულების რეფორმა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შეუდგა წინასწარ სამზადისს საქალაქო დებულების რეფორმის მოსახდენად. ამ აზრით სამინისტრომ ქალაქის თვითმმართველობებს, მათ შორის ტფილისისასაც, სთხოვა გაუგზავნოს დაწვრილებითი ცნობები ამომრჩეველთა ქონებრივ მდგომარეობისა და ეროვნების შესახებ.

✦ **კიევიდან ტფილისში გადმოფრენა.** კიევიდან ტფილისს უკვე გამოფრენილან შტაბს-კაპიტანი კოკაევი და პორუჩიკი აბაშიძე. მფრინავთათვის გზაზე ძლიერ ქარს მოუსწრია და ეკატერინოდარის მახლობლად დაშვებულან, იქიდან ბალაჯარით ტფილისს მოფრინდებიან.

✦ **ტფ. საარტისტო საზოგადოების** მამასახლისთა საბჭოს გამოანგარიშებით ამ საზოგადოებას 1914 წლის 1 იანვრისთვის 7,000 მან. ზარალი მოელის. ხარჯის დასაფარავად განზრახულია, 100 წევრის მაგივრად 700 წევრი მიიღონ და საწევრო ფულად დააწესონ: ნამდვილ წევრთათვის—40 მან. (ახლანდელ 30 მან. ნაცვლად) და მუდმივ მოსიარულეთათვის—35 მან. (ნაცვლად ახლანდელ 25 მან.).

✦ **სტიპენდია.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა: დაარსონ ტფ. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის კიდევ ერთი სტიპენდია რუსულ ბეჭდვით-სიტყვის 200 წლის არსებობის აღსანიშნავად. სტიპენდია მიეცემა ბეჭდვით-საქმის მოღვაწეთა შვილებს; რომელ საშუალო სასწავლებლის მოსწავლენიც იქნებიან, ეს სულ ერთია. ოთხი სტიპენდია თ-დ გ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობაზე უკვე არსებობს, მაგრამ ის სტიპენდიები უნდა მიეცეს მხოლოდ განსაზღვრულ სასწავლებლების მოსწავლეებს.

✦ **მშობელთა კლუბი.** საზოგადო კლუბის თაოსნობით ტფილისში განზრახულია მშობელთა კლუბის დაარსება.

✦ **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის** დაარსების ნებართვა ითხოვეს გუბერნატორისაგან გორის მაზრის სოფელ ბრეთის მცხოვრებლებმა.

✦ **წვრილის კრედიტის** საქმეთა საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო, დააარსონ წვრილ კრედიტის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა სოფ. წყნეთსა (ტფ. მაზრა) და სოფ. დიდ-ენაგეთში (ბორჩალ. მაზრა).

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 7 ოქტომბერს 67 ახალგაზრდა შეამოწმა. ამათში ჯანსაღად იცნო და სამხედრო სამსახურში ჩარიცხა 18 კაცი. 7 კაცი საგუბერნიო საკრებულოში გაგზავნა ხელმეორედ გასასინჯად, 9 კაცი სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნა გამოსაცდელად, ზოგიერთი თითო წლის ვადით გაანთავისუფლა, ხოლო უმრავლესობა უვარგისად იცნო სამხედრო სამსახურისთვის.

✦ **ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ.** 14 ოქტომბრისთვის დანიშნულია მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის კრება, რომელიც მოისმენს ვ. ი. ვისნიოვსკის მოხსენებას კახეთსა და ბორჩალოს მაზრაში საფილოქსერო დასების მოქმედების შესახებ. ამავ კრებაზე განზრახულია შედგინონ სია ფილოქსერის მხრით საშიშ და უშიშარ ადგილებისა.

✦ **საფერშლო პუნქტი.** ტფ გუბერნატორს ბორჩალოს მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა წარმოუდგინა დისიგისა და ლორუთის სასოფლო საზოგადოებათა დადგენილება. ისინი თხოულობენ სოფ. დისიგში დაარსონ საფერშლო პუნქტი, რადგანაც დისიგისა და ლორუთის საზოგადოება მდინარე „დებედაჩაით“ 10 ვერსით არიან მოწყვეტილი საადმინისტრაციო ცენტრს, სამკურნალო დახმარებას მოკლებულნი არიან და ხშირად სოფლის მკითხავ-ექიმბაშების ხელში ვარდებიან. ლორუთისა და დისიგის საზოგადოება, რომელიც შეიცავს 7,819 სულს კაცს, თავის განაჩენში თანახმა არის, უფასოდ დაუთმოს შენობა საფერშლო პუნქტს და მის შტატს: ფერშალს და ბებიაქალს. მცხოვრებნი თვითვე კისრულობენ სადგომების უფასოდ გათბობასა და განათებას.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ სექტემბრის ნომრები შემდეგის შინაარსით მოზრდილთათვის: მასხარა—სურათი, ობოლი ისო და პატარა ნუნუ—პოემა ი. მჭედლიშვილისა, ორკლასიანი—მოთხრობა გიოსი, ბახმაროს—ლექსი ი. სიხარულიძისა, უძველეს დროის ბავშის თავგადასავალი—მოთხრობა ე: დ'ერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მარიამ იაშვილისა, ბიძია კორნილის წისქვილი—დასასრული (ფრანგულით) ალ. გველესიანისა, ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე—ა. მიქაბერიძისა, ელექტრონის სასწაულები—ივ. როსტომაშვილისა, ტროადის ომი — ალ. მიქაბერიძისა, გასართობი: შარადა და ახსნა. მცირე წლოვანთათვის, მხედარი—სურათი, ორი მამლაყინწა,—ლექსი ბ. ახოსპირელისა, ნატვრის თვალი—ლელო ქიაჩელისა, სხვის ბინის მტაცებელნი—თარგ. ელ. ანტონოვსკისა, კაცი და გველი (ზღაპარი) მ. ხუციშვილისა, მკითხველების წერილები, გასართობი, რებუსი და ახსნა, გეოგრაფიული ამოცანა. ორივე ნომერი ჩვეულებრივ საინტერესოდაა გამოცემული.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „სასოფლო გაზეთის“ № 44, შემდეგის შინაარსით: 1. მოწინავე, 2. მისაბაძი მაგალითი—ნ. შ—სა, 3. კოლოდ უჟმური—ექ. ევ. ლოსაბერიძისა, 4. მოწოდება, 5. „პეტიო“—ბარ. ჯაფარიძისა, 6. ცოტა რამ კოოპერაციის შესახებ—ა. ინწკირველისა, 7. სიმინდის ღირსების გამოცნობა უბრალო, ყველასათვის მისაწდომი საშუალებით, 8. ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა-ბაზარი, 9. თესლის სისაღის გამოცნობა—კ. ჩაჩავასი, 10. ადრესები ილია წინამძღვრიშვილის მიმართ, 11. უბრალო სკიდან თაფლის ამოღების გაადვილება, 12. ქრონიკა, 13. გამოსადეგი ცნობები, 14. წერილი რედაქციის მიმართ, 15. მეტეოროლოგიური სადგურის გამოკვლევა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **რუსეთის საგეოგრაფო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია დღეის, საღამოს 8 საათზე მეფის მოადგილის კანცელარიის შენობაში. კრება აირჩევს განყოფილების ნამდვილ წევრებს და მოისმენს კ. ა. სატუნინის მოხსენებას შემდეგს თემაზე: „მოგზაურობა მდინარე ბზიბის ველზე და რიცის ტბის მიდამოებში“

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში. განსახილველია: 1) მოხსენება ვ. ი. რცხილაძისა საგარეჯოში გამართულ სოფლის მეურნეთა თათბირის შესახებ, 2) საფინანსო ანგარიში წინამძღვრიანთ-კარის სკოლის იუბილეისა, 3) მოხსენება კახეთში შეძენილ მამულებში ორ-პირ დაბარვის შესახებ და 4) მოხსენება ინსტრუქტორისა ა. კახელაძისა, რომელიც ამას წინად მერძეობის საქმეთა გამო სართიჭალას იყო.

სასწავლებლებში

✦ **მეორე საკომერციო სასწავლებლის** უფროს კლასების მოწაფეები დირექტორის ბ-ნ მახათაძისა და მასწავლებლის ახვლედიანის მეთაურობით, კვირას, 6 ოქტომბერს, იყვნენ ავჭალაში სადაც დაათვალიერეს ქალაქის წყალ-სადენი.

სასამართლო

✦ **სალიტერატურო საქმე.** ამას წინად ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ქალაქის გამგეობის სამიწისმზომლო განყოფილებაში ერთ ერთს დიდს მოსამსახურეს ბოროტმოქმედება ჩაუდენია: ერთი და იგივე ინვენტარი საქმის წიგნებში რამდენჯერმე ჩაუწერია და ზოგან დაწერილი ამოუფხეკიაო. ამ შენიშვნის გამო ქალაქის მიწისმზომელმა ვასილ რომანისძე მელიქ-ალახვერდოვმა ოლქის სასამართლოს განცხადება წარუდგენია, რომელშიაც აღნიშნავს სამიწისმზომლო განყოფილებაში ყველაზე უფროსი მოსამსახურე მე ვარ და არც ჩამიდენია იმის მსგავსი რამ, რაც გაზეთში იყოო; და ითხოვა ცილისწამებისათვის სამართალში მიცემა „კავკაზ“-ის რედაქტორის კაპიტანის ა. ს. სლივიცკისა. რედაქტორმა სლივიცკიმ შენიშვნის ავტორი, ამავ გაზეთის თანამშრომელი გ. მ. პავლოვი (თანახმად ამ უკანასკნელის

სამეურნეო და შინამრეწველობის

გამოფენა სკობელევში

(თურქესტანი, ფერგანის ოლქი).

ფერგანის ოლქი ადმინისტრატიულად განიყოფება ხუთ მაზრად: სკობელევისა (ანუ ახალი მარგელანი), ანდიჯანისა, ყოყანდისა და ნამანგანისა. მაზრები დაყოფილია ვოლოსტებად, ვოლოსტში შედის 5—15 სოფლამდე მთავარი ქალაქი სკობელევია, აქა სცხოვრობს ფერგანის ოლქის სამხედრო გენ.-გუბერნატორი, აქვეა თავმოყრილი მთავრობის ყველა დაწესებულება. მთელს ოლქს უჭირავს 47.600 ოთხ-კუთ. ვერსტი, და ითვლება 1.996.425 სული. მცხოვრებთა უმთავრეს ნაწილს შეადგენენ სართები (ანუ სოსთ, როგორც თვითონ ეძახიან თავიანთ თავს), შემდეგ ტაჯიქები და ყირგიზები. სართები და ყირგიზები მონღოლთა მოდგმისანი არიან, ტაჯიქები კი, ვგონებ, კავკასიისა. ყველანი მაჰმადიანნი არიან. მცხოვრებნი მისდევენ ბამბის თესვას, რომელიც ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ძალზე განვითარდა და დღეს ცრუ და მავნე, ადგილობრივი და მოსული, ყველა ბამბის ცხელებას შეუპყრია. მისდევენ აგრეთვე მევენახეობას, თუმცა ამ უკანასკნელ დროს ჰკაფავენ მათ და ბამბას სთესენ, მაგრამ 15 მილ. მან. ღირებული ვენახები მაინც კიდევ არის. მისდევენ ხვნა თესვასაც. სთესენ პურს, სიმინდს, ქერს, ბრინჯს და ჯუგარას (ეს მცენარე სიმინდის წააგავს, მხოლოდ ისხამს მტევნებს და მარცვალი ფეტვისას უგავს). ბაღჩეულობიდან სთესენ იონჯას და ამით ჰკვებავენ საქონელს და კიდეც ჰყიდიან ათ გირვანქას კონას 15—20 კაპ. თივა თითქმის სულ არ არის. ბოსტნეულობასაც მისდევენ. მოჰყავთ ხახვი, სტაფილო, თალგამი, წიწაკა, ყველა ამეებს ფლავის შესანელებლად ხმარობენ, თალგამის გარდა. მოჰყავთ ნესვი, რომელიც მეტის-მეტად უყვართ, საზამთრო და კიტრი. ხილიც ბევრი მოდის, ლეღვი (ლეღვსა და ვაზს შემოდგომაზე მიწაში მარხავენ, რომ ყინვებმა არ დააზროს), ბროწეული, ატამი, ვაშლი, კომში, რომელსაც ბიას ეძახიან, მსხალი იშვიათია. განსაკუთრებით ბევრი მოდის ჭერემი, (აქ ჭერმის რთველია ხოლმე, ასე, როგორც ჩვენში ყურძნისა და განჯის გუბერნიაში თუთისა). ყირგიზები მომთაბარე ხალხია და მისდევენ მესაქონლეობას. თუმცა რუსის მთავრობა ბევრსა ცდილობს დააბინავოს ეს ხალხი, მაგრამ ასეთ ცდას ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა ნაყოფი მოუტანია. ადგილობრივ მცხოვრებთ გარდა, რასაკვირველია, ბევრია უცხო ტომის ხალხიც, განსაკუთრებით რუსები. ქალაქებში თითქმის ⅓ რუსები შეადგენენ. სოფლებიც არის რუსებისა გაშენებული, შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა მოსამსახურე ხალხი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დაწესებულებებში, თითქმის სულ რუსები არიან, იშვიათია სხვა ერისა. ადგილობრივ მკვიდრთაგან შეხვდებით ან „სტოროჟს“, ან უბრალო მწერალს პოლიციაში. არიან ბლომად სომხები, უფრო ვაჭრები, ხელოსნები. არიან ქართველებიც, განსაკუთრებით ბუფეტის და სასტუმროების პატრონები. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ფულს ბლომად იგებენ, მაინც ფუქსავატად მიდის მათი მოგება, საშვილიშვილოს არაფერს აკეთებენ და ერთი გროშიც იმათი მოგება არ მოდის საქართველოში. ისევ აქვე ფლანგავენ. იშვიათია, რომ რუსი ცოლი არა ჰყავდეს და შვილები, ხომ მოგეხსენებათ, რანიც იქნებიან. რუსები შეადგენენ კულტურულს ნაწილს მცხოვრებლებისას და ყველა საქმეს სათავეშიაც ისინი უდგანან. სკოლის გახსნა, საავადმყოფოსი, თუ რაიმე სასარგებლო დაწესებულებისა, ადგილობრივ მკვიდრთათვის, თუ რუსებისათვის, რუსის ინტელიგენტების ძალა აკეთებს ყველაფერს. თუ არა რუსის ინტელიგენცია, რომელიც თითქმის სულ სამსახურის ხალხისაგან შესდგება, ამ მხარეში არავითარი კულტურული დაწესებულება არ იქნებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ძალა შესწევს და საშუალება ხელს უმართავს, ცდილობენ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი კულტურულად წინ წასწიონ. (რასაც ჩვენში ვერა ვხედავთ). აი ასეთმა რუსმა ინტელიგენტებმა შარშან 29 ივნისს დაარსეს ქალ. სკობელევში სამეურნეო საზოგადოება, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში იმდენი მხნეობა და სიცოცხლე გამოიჩინა, რომ წელს მოაწყო სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენა. საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება ვიცე-გუბერნატორი კალმაკოვი და ამხანაგი ფერგანის საოლქო აგრონომი კურბატოვი. შეადგინეს საგამოფენო ორგანიზაცია, რომელშიაც შევიდნენ ინსტრუქტორები ყველა სამეურნეო დარგისა, იშოვეს თანხა, ზოგი თვით სამეურნეო საზოგადოებისა, ზოგი ქალაქების დახმარება და ზოგიც მიწადმოქმედების დეპარტამენტისაგან. გამოფენის მოწყობა-გამართვა სულ დაჯდა 4000 მანეთად. სკობელევის საქალაქო ბაღში, რომელსაც შუაში ჩამოუდის პატარა ხევი და ორადა ჰყოფს ბაღს, ხევის ორსავე ნაპირებზე აღმართული იყო გამოფენის პავილიონები. 22 სექტემბერს გამოფენა გაიხსნა. ვიცე-გუბერნატორმა პატარა სიტყვით მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას და სხვათა შორის სთხოვა, რომ ნუ დაგვძრახავთ, თუ სასურველად ვერ მოაწყო ჩვენმა ახალგაზდა სამეურნეო საზოგადოებამ დღევანდელი გამოფენაო და მერმისთვის ეცდება უფრო მეტი მხნეობა გამოიჩინოსო. შემდეგ წააკითხა მილოცვის დეპეშები სხვადასხვა პირისა. უმთავრესად პავილიონი ეკუთვნოდა თვით სამეურნეო საზოგადოებას და მეურნე-ინსტრუქტორთა ორგანიზაციას. ამავე პავილიონში ერთი კუნჭული ეჭირა ადგილობრივ გადმოსახლების სამმართველოს. ფერგანის ოლქში ყოფილა ერთი საცდელი სადგური და იქვე საცდელი მინდორი, 7 სათესლე პლანტაცია და 4 სანერგე. საცდელი სადგური და მინდორი არსებობს განსაკუთრებით ბამბის კულტურისათვის: აქ სცდიან და აუმჯობესებენ ბამბის თესლს; იკვლევენ და სცდიან, თუ რომელი ნიადაგი უფრო უხდება ბამბას, რამდენი მორწყვაა საჭირო და სასარგებლო, რით უფრო უმჯობესია და ხელსაყრელი მიწის გასუქება და სხვა. ყველა ამის ნიმუშები იყო გამოფენილი და აღნუსხული და ნაჩვენები დიაგრამებით. აქვე იყო გამოფენილი ნიმუშები ყველა ჯურის თესლისა. დიაგრამებითვე იყო ნაჩვენები, თუ რამდენ მორწყვას რა შედეგი მოსდევს მოსავლისათვის. მაგ., ოთხჯერ მორწყულ დესიატინა მიწაზე, მოდის 60 ფუთი,—ხუთჯერ—106¾ ფუთ., ექვსჯერ—111½ ფ., ხოლო მეტი კი ავნებელია. მიწის გასუქება შეიძლება ნაკელით, ბამბის ნაბოლარა ფერფლით, სუპერფოსფატით და საქონლის სისხლის ფხვნილით. (ეს ფხვნილი კეთდება საყასბოებზე მოგროვილი სისხლისაგან). ყველაზე ხელსაყრელი და უკეთესიც ყოფილა სუპერფოსფატი; სისხლის ფხვნილიც კარგია, მაგრამ უფრო ძვირია. ნაკელით გასუქება ძვირად ჯდება და ვერც სიმსუქნით შეედრება ზემოდასახელებულს სასუქებსო. აქვე იყო საჩვენებლად ბამბის ნიმუშები, გასუქებულს და გაუსუქებელ მიწაზე მოყვანილი. ნათლად სჩანდა, რომ გასუქება მიწისა საჭირო ყოფილა და რომელი სასუქია უკეთესი; გაუსუქებელ ნიადაგზე მოსულს ბამბას ესხა 10—20 პარკამდე და წვრილი, გასუქებულზე კი 50—100-მდე და უფრო სხვილი. ამნაირად საცდელ სადგურ—მინდორზე მიღებული შედეგები გადააქვთ სათესლე პლანტაციებში და ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით თვით ხალხში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბამბის თესლისაგან გაკეთებული სხვა და სხვა სითხე, მაგ., საწვავი ზეთი, საჭმელში სახმარი ზეთი, სტეარინი, ფქვილი, საპონი, ღერძის და თვლების საცხეში, ეგრეწოდებული ნაწური, საქონლის საკვებად და ნაბოლარი მიწის სასუქად. ყველა დიდ სოფელში არის ბამბის საქაჩევი ქარხანა, ქალაქებში სარჩევი და ზეთის სახდელ ქარხნები. ბამბის მოსავალი ყოფილა 1912 წ., გაუწმენდავისა—15.504,000 ფუთ., გაწმენდილი დარჩენილა—7.752,000 ფუთ. თესლად გასულა 1 ნახევ. მილიონი ფუთ.; 10% გაფუჭებული და უვარგისი თესლისა საქონლის საკვებად და მიწის სასუქად წასულა; დანარჩენიდან გამოუხდიათ ქარხნებში სხვა და სხვა სახმარი ზეთი. საცდელ მინდვრიდან წარმოდგენილი იყო ყველანაირი მცენარე ნაყოფი და თესლეულობა: სიმინდი ათნაირ ჯიშისა, ლობიო, ჯუგარა, პური, ქერი, იონჯა და სხვა, როგორც ურწყავ და გაუსუქებელ მიწისა, ისე მორწყულ და გასუქებულსა. განსხვავება მეტად დიდი იყო, მცენარის სიმაღლით, ღეროს სიმსხოთი, თავთავით და მარცვლით. აქვე იყო გამოფენილი სანერგეებიდან წარმოდგენილი ყველანაირი ხილეულობა: ვაშლი, ატამი, ქლიავი, მსხალი, ბროწეული, ლეღვი, კომში, ნესვი, საზამთრო, გოგრა (ზოგიერთი 3—4 ფუთ. იწონიდა), ყურძენი, რა ჯიშისაც კი მოიპოვება ფერგნაში, მაგ., უსეინი,—გრძელმარცვლოვანი, ქიშმიში წვრილმარცვლოვანი, ურკო, ქათთა-ყურღანი—კაკლის ოდენა მარცვლებიანი (ეს ჯიშები თეთრია), ჩარაზი, ჩილიგი (შავი ჯიშები), ჩამგრა და იუმალაყ (ვარდის ფერისაა), სხვადასხვა ხილის კონსერვები დამზადებულნი ინსტრუქტორების მიერ. გადმოსახლების სამმართველოს გამოეფინა სხვადასხვა ჯიშის პურის მცენარეთა კოლექცია თესლეულობა და ანგარიში გადმოსახლებისა. 42 წელიწადია, რაც თურქესტანი რუსეთმა დაიჭირა და ამ ხნის განმავლობაში გადმოუსახლებიათ შიდა რუსეთიდან გლეხები 6500 კომლი და განზრახულია კიდევ 2400 კომ. გადმოსახლება. წინად, თურმე, მთავრობა ვერ ასახლებდა რუსებს ამ მხარეში, ვინაიდან, რაც სახმარი მიწა იყო, სულ ადგილობრივ მცხოვრებთა სამუდამო მფლობელობაში იყო, განსაკუთრებით მომთაბარე ყირღიზებისაში; ეხლა, როდესაც ამათ ჩამოერთვათ მიწები, თითქმის 26 მილიონი დესიატინა მიწა განთავისუფლდება, რომელიც რუსების დასასახლებლად უნდათ. პავილიონის წინე ეზოში, გამოეფინათ სამეურნეო იარაღები: გუთნები, ფარცხები, სამკილი, სალეწი, სათესი და სხვა. იქვე აჩვენებდნენ ხალხს ამ იარაღების ხმარებას. შემდეგ ორი პატარა პავილიონი იყო კერძო ექსპონატებისა, ერთი ქალაქ ნამანგანის სავაჭრო ამხანაგობისა და მეორე ანდრეევსკის სავაჭრო სამრეწველო ამხ. ამათ გამოეფინათ თავიანთ ქარხნებში დამზადებული ბამბის თესლისაგან სხვადასხვა ზეთი, საპონი, ფქვილი და სხვა. მეოთხე მოზრდილი პავილიონი, აღმოსავლეთის გემოვნებაზე მოწყობილი, დათმობილი ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებთაგან გამოფენილს ყოველგვარ მოსავალს: რაც კი ფერგნეში მოდის, აქ იყო წარმოდგენილი: ხილეულობა, მცენარეულობა, ბოსტნეულობა და თესლეულობა. ყურადღებას იქცევდა განსაკუთრებით გოგრები, 5—6 ფუთ. წონით და ბამბის შტო, რომელსაც 500 პარკი მოება. სხვა აქ საინტერესო და საყურადღებო არა იყო რა. ჩვეულებრივი ხილი, მცენარე და ბოსტნეულობა. ამ განყოფილებაშივე იყო გამოფენილი განჯიდან გამოგზავნილი მურადოვისაგან ნიმუშები შენახული ხილისა, ატამი, მსხალი, კიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილისა) გასცა. ახლა მელიქ-ალახვერდოვმა სამართალში მისცა ბ-ნი პავლოვი სისხლის სამართლის მე-1535 მუხლის ძალით. საქმის გარჩევა დანიშნულია ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში 11 ნოემბრისთვის. ბ-ნ პავლოვს დაიცავს ორი გამოჩენილი ტფილისელი ვექილი.

დუშეთი.

◆ **სეტყვა.** ამას წინად მოსულმა სეტყვამ დიდად წაახდინა ვენახები.

სოფლად.

◆ **უბედური შემთხვევა.** სოფ. გოუბანის მცხოვრებმა ლევან ჯანიაშვილმა თოფის გასინჯვის დროს უცაბედად ტყვიით მძიმედ დასჭრა ამავე სოფლის მცხოვრები ვასილ ქელბერაშვილი.

◆ **შეიარაღებული თავდასხმა.** 4 შეიარაღებული უცნობი სოფ. წვერში თავს დაეცა ქვრივს ანნა ნოვოსაძის სახლს და უნდოდა მისი 15 წლის ქალის ნინოს გატაცება. ნინომ დამალვა მოასწრო. უცნობებმა ფანჯრები ჩაამტვრიეს, ქვრივს ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს და გაიქცნენ. ერთი თავდამცემთაგანი, ქვრივის სიტყვით, იყო სანდრო ნასონიძე, რომელსაც ნინოს შერთვა სურდა, მაგრამ უარი მიიღო.

ბაქო.

◆ ბაქოელ ქართველთა შორის ლაპარაკია კლუბის დაარსების შესახებ. უნდათ დაარსონ ისეთი კლუბი, როგორიც არის „ახალი კლუბი“ ტფილისში.

ტფ. ქალაქის საბჭო

7 ოქტომბრის კრება.

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარი კითხულობს წარსულ კრების ოქმს.

ამის შემდეგ საბჭო ისმენს ქალაქის გამგეობის წევრის **გ. დ. ჟურულის** სიტყვიერ მოკლე მოხსენებას სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების კრების შესახებ, რომელიც კიევში მოხდა და სადაც ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებად გაგზავნილი იყვნენ თვით მომხსენებელი და ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარი. ვრცელი მოხსენება ამ კრების შესახებ მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაიბეჭდება, ამიტომ აქ ამ ჟამად მეტად მიგვაჩნია ბ-ნ ჟურულის მოხსენების შინაარსის გადმოცემა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კრება მომხსენებლის სიტყვით მეტად ნაყოფიერი გამოდგა იმის მიუხედავად, რომ მისი მოწვევის ნება ძალიან გვიან დართეს და ყველა ქალაქის თვითმმართველობას არა ჰქონდა შეძლება კრებაზე მონაწილეობა მიეღო. ბ-ნმა ჟურულმა ისიც აღნიშნა, რომ კიევის ქალაქის თვითმმართველობა კრების მონაწილეებს ძალიან კარგად დაუხვდა და კრების მოწვევაზე 10,000 მან. დახარჯაო.

ქალაქის საბჭო ადგენს, მადლობა გადაუხადოს კიევის ქალაქის თვითმმართველობას იშვიათ სტუმართმოყვარეობის გამოჩენისთვისა და ტფილისის წარმომადგენლების არჩევისათვის კრების პრეზიდიუმში.

დასამტკიცებელია **ხორცის ახალი ნიხრი**, რომლის დაწესებას თხოულობს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისია. კომისიას შეუკრებია ცნობები, დარწმუნებულა, რომ დასაკლავ საქონლის ფასს დაუწევია და შესაძლებლად უცვნია ნიხრის დაკლება, რომლითაც გირვანქა ხორცი უნდა გაიყიდოს: ძროხისა—11 კ. ნაცვლად 12 კაპეიკისა, ცხვრისა—13 კ. ნაცვლად 14 კაპეიკისა, კამბეჩისა ისევ 7 კ. და ღორისა: გატყავებული—14 კ. ხოლო გაუტყავებელი—13 კ.

ამ ნიხრთან საბჭოს წარედგინა ყასაბთა წარმომადგენლების საჩივარი, რომელნიც აღნიშნავენ კომისიას სწორე ცნობები არა ჰქონდა საქონლის ფასის შესახებ, თორემ ნიხრის დაკლებას არ მოითხოვდაო.

ხმ. კეილი. (სამეურნეო კომისიის თავჯდომარე). კომისიას სწორე ცნობები ჰქონდა ხელში. ეს ცნობები მიიღო ქალაქის ბანკის გამგისა და სავაჭრო-სამეურნეო აგენტისაგან. მე ერთმა ყასაბმა ისიც კი მითხრა, რომ ამ ჟამად ხორცის ნიხრი იმდენად დიდია, რომ ხშირად ნიხრზე ნაკლებად ვყიდიო.

ზოგიერთი ხმოსანი აღნიშნავს, რომ ვაჭრები სრულიად არ ემორჩილებიან ნიხრს.

თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (გამგეობის წევრი). ეგ ჩვენი ბრალი არ არის: რად აძლევენ ნიხრზე ზემოდ? ჩვენ ჩვენის მხრით ყოველ ღონისძიებას ვიღებთ ნიხრის დარღვევის წინააღმდეგ: წელს ვაჭრებს იმდენი ოქმი შევუდგინეთ, რამდენიც წინად არასოდეს არა ყოფილა.

საბჭო ახალ ნიხრს ამტკიცებს და ყასაბთა საჩივარს უყურადღებოდ სტოვებს.

დასამტკიცებელია **ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა**, რომელიც ნავარაუდევია 15,000 მანეთად.

გ. დ. ჟურული აღნიშნავს, რომ საჭიროა იმაზე მეტი ყურადღება მიექცეს ამ საზოგადოებას, ვიდრე დღემდე ჰქონდა მას დათმობილი; საჭიროა მის მოქმედებისა და საწარმოო თანხის გაფართოვება. აქვე დასძენს, რომ რუსეთის ბევრს ქალაქში, რომელიც ტფილისზე დაბლა სდგას, ასეთ საზოგადოებათა საწარმოო თანხა მილიონ მანეთამდე აღწევს.

ხმ. ვასილიევი აღნიშნავს, საზოგადოების აღორძინებას ბევრი ხმოსანი თვით ეღობება წინ იმით, რომ ამ საზოგადოებაში ქონების დაზღვევის მსურველს სხვაგან მიაქანებს.

ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი ამ გარემოებას ადასტურებს.

ხმ. შ. ალექსი-მესხიშვილი თხოულობს, ჯერ-ჯერობით დაუმტკიცებელი დარჩეს ხარჯთ-აღრიცხვა და მცოდნე პირთაგან შემდგარ კომისიას დაევალოს, შეისწავლოს ასეთ საზოგადოებათა საქმე და შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ საზოგადოების მოქმედების გასაფართოვებლად, რაც შეადგენს ყოველ მოქალაქის ინტერესის დაკმაყოფილებას.

საბჭო ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს და საჭიროდ აღიარებს, შემდეგ კრებაზე აირჩიოს საგანგებო კომისია დამზღვევ საზოგადოების საქმეების გამოსარკვევად.

ასარჩევია ქალაქის ლომბარდის გამგე. ამ თანამდებობაზე რამდენიმე კაცის კანდიდატურაა წარმოდგენილი, ამიტომ კრება დროებით სწყდება და ხმოსნები ცალკე ოთახში გადიან კერძო თათბირის მოსახდენად.

კრების განახლების შემდეგ კამათი იმართება იმის თაობაზე, არჩევნები ახლა მოხდეს თუ გადაიდოს.

ხმ. თოიძე. ამ თანამდებობაზე რამდენიმე კაცია კანდიდატად. იმათში მხოლოდ ერთს ვიცნობ. ამიტომ ჩემი სინდისი დამშვიდებული არ იქნება, თუ ახლა, კანდიდატთა ღირსება—ნაკლის შეუსწავლელად, არჩევნები მოხდება.

ხმ. პ. ა. გოთუა თხოულობს, არჩევნები ორი-სამის კვირით გადაიდოს და არჩეულ იქმნას საგანგებო სარეკომენდაციო კომისია, რომელიც კანდიდატთა ღირსება-ნაკლოვანებას შეისწავლის და თავის კანდიდატს წარმოუდგენს საბჭოს.

საბჭო ადგენს, არჩევნები ახლავე მოახდინოს და ლომბარდის გამგეს ჯამაგირად დაუნიშნოს წლიწადში 1,800 მან.

ბარათებით ასახელებენ კაფიევს, მელიქ-სარქისოვს (ლომბარდის ახლანდელ დროებით გამგეს), გამყრელიძეს (ბათომის ლომბარდის გამგედ ნამყოფს) და ოჰანეზოვს.

კაფიევი და მელიქ-სარქისოვი ყუთის დადგმაზე თანხმობას აცხადებენ. ოჰანესოვი უარს ამბობს. გამყრელიძე აქ არ არის.

ქალაქის მოურავი აქვს თუ არა ვინმეს რწმუნება გამყრელიძისგან, რომ მას ყუთი დაუდგათ?

პასუხი არ არის.

ქალაქის მოურავი. ხელთ მაქვს წერილი, რომლითაც ბ-ნი გამყრელიძე თხოულობს, ყუთი დაუდგათ იმ შემთხვევაში, თუ მას შანსი ექნება არჩევისა.

გ. დ. ჟურული ქალაქის მოურავის სიტყვებს ადასტურებს.

ხმ. პ. ა. გოთუა. მართალია, ბ-ნი გამყრელიძე ღირსეული კანდიდატია, დამსახურებაც მიუძღვის, მაგრამ ისიც კარგად უნდა სცოდნოდა, რომ მას აქ შანსი არასოდეს არ ექნებოდა.

ქალაქის მოურავი (ზარს რეკავს). ეს შენიშვნა უადგილოა.

ხმ. პ. გოთუა ([illegible]). უადგილო არ არის. ძალიან საფუძვლიანია.

ყუთს უდგამენ კაფიევსა და მელიქ-სარქისოვს. პირველი იღებს 32 თეთრსა და 22 შავს კენჭსა, ხოლო მეორე—19 თეთრსა და 35 შავს კენჭსა.

ამ რიგად ლომბარდის გამგედ ირჩევენ გაბრიელ გერასიმეს ძეს კაფიევს. იგი არჩეულია ორის წლით.

მიაწოდეთ წიგნები!

ადამიანის საუკეთესო მეგობარი წიგნია. იგი გულშემატკივარია ჭირში და ლხინის მოზიარეც; იგი კაცთა მანუგეშებელია, დამრიგებელი, ხელმძღვანელი. გაუნდეთ თქვენი ხვაშიადი წიგნს—იგი მიიღებს მას; წიგნს აჩვენეთ თქვენი ცრემლები, სიხარულისა იქნება, თუ სიმწუხრის, მხოლოდ იგი დააფასებს მას. ეჭვით შეპყრობილმა გადაშალეთ წიგნი—გაჰფანტავს ეჭვს.

თუ კი ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნს აქ, ცხოვრებაში, სადაც მეგობარიც გყავს, ძმაც, მშობელიც, სადაც თავისუფალი ხარ გარეგნულად მაინც, რა ძვირფასი, და უბადლო უნდა იყოს იგი პყრობილთათვის. რა უდიდესი მნიშვნელობა ექნება მას საპატიმროში.

გარედ თქვენ სიცოცხლეს ჰხედავთ, მოძრაობას, მოქმედებას, აქ გული ოჯახური სიტკბოებით გაქვთ გამთბარი, სიყვარული, მზრუნველობა დაგტრიალებთ თავს. აქ ტანჯვაა მაგრამ ლხენაც არის; აქ შევიწროვებული ხართ, მაგრამ თავისუფლად მაინც ჰმოძრაობთ; აქ აზრი, გრძნობა გეშხამებათ, მაგრამ იმავე დროს არის სულის საზრდოც.

იქ კი, საპყრობილეში, განუწყვეტელი მწუხარება, მომშხამველი ერთფეროვნება, უმეგობრობა; იქ უძრაობაა, გონების სიჩლუნგე. იქ სიცოცხლის მინელებაა, ნელი სიკვდილი.

მხოლოდ წიგნს შეუძლიან გაუმკლავდეს ამ ადამიანის ცოცხლივ დასამარებას. მხოლოდ წიგნს შეუძლიან ნათელი სხივი შეიტანოს ცოცხალ ადამიანთა პარკუშ სამარეში. წიგნი მოაგონებს პყრობილს თავის ოჯახს, სიყვარულს, მეგობრობას და ნექტარის შვებით აღუვსებს გულს, ახალ ძალას მოაბერს მის სულს.

ძვირფასია წიგნი ადამიანისთვის; ერთი ასად, ერთი ათასად უძვირფასესია იგი პატიმართათვის.

მეტეხის ციხეში ქართული წიგნები ფრიად ნაკლებად მოიპოვება.

პატიმარნი, რომელთაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იციან, საშინელ ტანჯვას განიცდიან უწიგნობის გამო. მოუწოდებ გამომცემლებს, ავტორებს და კერძო პირებს მიაწოდონ მათ წიგნები.

ნუ დაიშურებთ უბრალო მეცადინეობას და მიაწოდეთ წიგნები.

მიაწოდეთ წიგნები! ამას ითხოვს თქვენგან კაცთმოყვარეობა!

ნატუსაღარი.

ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ

დიდს ბოდიშს ვიხდით ჩვენი პატივცემული საზოგადოების და კერძოდ ხელის მომწერლების წინაშე, რომ ჩვენი ახალი გამოკვლევის („**გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა**“) **პირველი ტომის** გამოცემა ძლიერ დაგვიგვიანდა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. ძნელია საზოგადოდ ჩვენში წიგნის ბეჭდვა და, განსხვავებით, აუტანელი იყო ის პირობები, რომლებშიც ჩვენ შეგვხვდა მუშაობა. ამაზე უფრო ვრცლად მოველაპარაკებით მკითხველს თვით წიგნის წინასიტყვაობაში; აქ კი მივმართავთ, ვისაც შეეხება, შემდეგის თხოვნით:

ჩვენი წიგნი გამოვა მომავალი ნოემბრის განმავლობაში; ამიტომ ვისაც ჰსურს, რომ სხვა მასალასთან ერთად შიგ მოექცეს ის სიტყვებიც, ან წერილები, რომლებიც გაბრიელის სიკვდილის დროს, ან დასაფლავებაზე, ან სხვა დროს მათ მიერ იყო წარმოთქმული, ან დაბეჭდილი სადმე შესახებ განსვენებულის ცხოვრება—მოღვაწეობისა, გამოგვიგზავნონ დაჩქარებით შემდეგი ადრესით: **Гор. Поти, муж. гимназія.**

დიდად დაგვავალებენ სხვა ჩვენი რედაქციებიც, თუ ინებებენ დროით გადაბეჭდვას ამ ჩვენი განცხადებისას, რათა ამით ხელი შეეწყოს, რაც შეიძლება, მეტი მასალის და საბუთების გამოქვეყნებას გაბრიელის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

პატივისცემით **მღ. მ. კელენჯერიძე.**

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის სახალხო თეატრი.

კვირას, 6 ოქტომბერს, ბ.ბ. ივანიძისა და ჟივიძის მონაწილეობით წარმოადგინეს შიუკაშვილის 4 მოქ. დრ. „მეგობრობა“.

პიესის შინაარსი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ შინაარსით ის ნამდვილს, რეალურს ცხოვრებას წარმოადგენს. მოქმედნი ცდილობდნენ კარგად შეესრულებინათ თავისი როლები.

ბ. ივანიძემ მშვენივრად განახორციელა არჩილის პიროვნება.

ბ. ჟივიძე (სანდრო) მოხდენილად მოქმედებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მეტი მოეთხოვება.

მეტად მშვენიერი იყო ქ. მარგველაშვილის ასული ახალგაზრდა მოწაფე ქალის ელიკოს როლში, არა უშავდა რა აგრეთვე ქ. ჟურულის ასულს თამარის როლში.

დასასრულ არ შემიძლიან აღუნიშნველი დავსტოვო ის გარემოება, რომ დარბაზში ხმაურობას საზღვარი არა ჰქონდა; მესამე მოქმედების დროს, მუშტი-კრივი და ლანძღვა-გინებაც კი გაიმართა. დროა, ბ-ბო, შეიგნოთ, რომ ხმაურობით პიესის მთლიანობას არღვევთ და მის ბუნებრივად წარმოდგენას ხელს უშლით.

მიშო.

ბაქო. 6 ნოემბერს დრამატიული სექციის დასმა დასდგა „დღეები ჩვენი ცხოვრებისა“, ანდრეევისა. ამ პიესის დადგმა ჩვენი ღარიბი სცენისთვის დიდი გამბედაობა იყო. სცენის მოუწყობლობისა და სიპატარავის გამო სულ ერთიან გაჰქრა პირველი და მეორე მოქმედების სურათები. არა სჩანდა სცენაზე არა თუ მოსკოვი, უბრალო ქალაქიც კი. ვორობიოვის მთების ნაცვლად პირველ მოქმედებაში და ბულვარის ნაცვლად მეორეში, უხეირო ტყე მოსჩანდა, და ამასთან სცენა იმდენად პატარა იყო, რომ ათიოდე კაცი ძლივს ეტეოდა. მაგრამ თუ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელებმა ამ სიპატარავეს და სიღარიბეს მიაქციეს ყურადღება, მაშინ არც ერთი, ცოტად თუ ბევრად, ხეირიანი პიესის დადგმა აღარ შეიძლება.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად საზოგადოება მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან ყველამ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მწყობრად ჩაიარა, ეტყობოდა, რომ მსახიობებსა და, განსაკუთრებით, რეჟისორს შრომა არ დაეზოგათ.

მთავარ როლებს ასრულებდნენ ქ. ანდრონიკაშვილისა (ევდოკია ანტონოვნა), ც. ამირეჯიბის ასული (ოლგა ნიკოლაევნა), ნ. გვარამძე (გლუხოვცევი) და გ. პავლიაშვილი (ონუფრი). ანდრონიკაშვილისამ ამ საღამოთი ალტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. მისი თამაშობა ბევრად უფრო მხატვრული იქნებოდა, როლი რომ კარგად სცოდნოდა. რიგიანი ოლ-ოლი იყო ამირეჯიბის ასული. გვარამძე უკეთესი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, ვიდრე პირველში. გ. პავლიაშვილმა ვერ განასახიერა ონუფრის ტიპი. გაფუჭებით არა გაუფუჭებია-რა, მაგრამ ეს მართლაც და ძნელი როლი მძიმე აღმოჩნდა მისი ძალ ღონისთვის. ორიგინალური ფონ-რაკენი იყო ახობაძე. ყურადღება მიიქციეს ამაშუკელმა (მოროზოვი) და ჰუმბერიძემ (მიშკა) დანარჩენთ უმნიშვნელო როლები ჰქონდათ.

შემდეგი წარმოდგენისთვის, მომავალ კვირას, როგორც უკვე ვწერდი, დანიშნულია ავ. ცაგარლის პიესა: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ვოდევილი. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ქართული თეატრის მსახიობი დ. აწყურელი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

8 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ტოკიო. ხმებია, მთავრობამ შეიმუშავა პროექტი 10 წლის ვადით 800 მილიონი სესხის აღების თაობაზე ფინანსებისა და ვაჭრობის მოსაგვარებლად. სესხის ნაწილი მანჯურიაში რკინის გზის გაყვანას მოხმარდება. გაზეთი „ხოცი-სიმბუნი“ აღნიშნავს იუნშიკაის მისწრაფებას ინგლისისა და რუსეთისადმი დამეგობრებისთვის და ურჩევს მთავრობას იუნშიკაის გეგმების ჩასაფუშავად დაუმეგობრდეს ინგლისს და რუსეთს, თორემ ჩინეთი ხელს შეუშლის იაპონიას მანჯურიაში და იანცზიცზიანზე მოქმედების დროსო.

ლონდონი. კვირას, წირვის დროს, პავლეს ტაძარში სუფრაჟისტებმა დატუსაღებულ ქალთა ჰიმნი იგალობეს. სუფრაჟისტები პოლიციამ ძალით ტაძრიდან გაიყვანა.

სენტ ჯონსი (ნ უფაუნდლენდი). დაბა გერბერგრსში უცნობმა წირვაზე დასჭრა ეპისკოპოსი. მსროლელი დაიჭირეს.

სტამბოლი. გიუმიულჯინიდან იტყობინებიან, დროებითი მთავრობამ ოსმალეთის ბაირაღთან ერთად ავტონომიურ გიუმიულჯინის პროვინციის ბაირაღიც ააფრიალა.

პარიზი. საზონოვი რუსეთს დაბრუნდა.

გარდაიცვალა საყინულე საქმის დარგში ცნობილი გამომგონი ტელიე.

ლეიპციგი. ტრამვაის ვაგონი ცირკის ურემს დაეტაკა. ურემი დაიმსხვრა 8 ლომი გაიქცა. ლომების დასაჭერად ცეცხლის მქრობი რაზმი გამოიწვიეს. ორი ლომი სასტუმროში შევარდა. 6 მოჰკლეს, ხოლო ორი ცოცხალი დაიჭირეს.

სალონიკი. მეფე კონსტანტინე ათინაში დაბრუნდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. რადგან შაქრის მოთხოვნილებამ როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარედ შესამჩნევად იმატა, ფინანსთა მინისტრი პროექტს შეიმუშავებს შაქრის მრეწველობის გასაძლიერებლად და ზოგიერთ დამაბრკოლებელ მუხლებს შესცვლის. გადაწყვეტილია, რომ შინაური ბაზრისთვის გამოვა შაქარი 80 ათას ფუთის მაგიერ 140 ათასი.

სამხედრო სამინისტრო აპირებს საკანონმდებლო დაწესებულებათ წარუდგინოს ახალი კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის ვადის 3 თვით გადიდების თაობაზე. ეს ღონისძიება გამოწვეულია დასავლეთ-ევროპის აგეთივე ღონისძიებათა მიხედვით. წელს, ვინც სამსახურს ასრულებს ნოემბერში, 1914 წლ. იანვრამდე დაიჭერენ.

მომავალ სესიაში სათათბიროს წარედგინება პროექტები შავსა და ბალტიის ზღვაზე ნავთ სადგურების და ბედლების აგების თაობაზე, რასაც 25 მილიონამდე მოუნდება. ბედლების აშენებას აპირებენ: ოდესსა, ხერსონში, ფეოდოსიასა, მარიუპოლსა და ბერდიანსკში.

რი და სხვა, სანთლის და პარაფინის სითხეში ამოვლებული. აქვე იყო გამოფენილი ნამანგანის ქალაქის სანერგიდან გამოგზავნილი ხილეულობა და თესლეულობა. ეზოში გამართნათ ხელოვნურად პაწია სანერგე-მოდელი, ამის შემდეგ გამწკრივებული იყო სამი პატარა პავილიონი კერძო პირებისა; ერთში იყო გამოფენილი ხილის კონსერვები, მეორეში ტკბილი სასმელი წყლი და მესამეში სკანდიტრო ხელოვნება, წისქვილის ქვის ოდენა ტორტით. იქვე, ახლო, კარგად მოხდილი შენობა დაეჭირა მეაბრეშუმე ბერძენს ევტიხიდის; ამას გამოეფინა სხვადასხვა ჯურის პარკი, წვრილი და მეტად მსხვილი, უკვე ჰკვებავდნენ ქიას. კედლებზე გამოკიდებული იყო სურათები იმ მწერებისა, რომელნიც ქიის მტერნი არიან, აგრეთვე თვისი წარმოების დაწყება-განვითარება და დღევანდელი მისი მდგომარეობა. შემდეგ მოეწყოთ სართული ჩარდახები, სადაც გაემართნათ აბრეშუმის სახვევი და საქსოვი საფეიქრო. ერთ ალაგას იყო გამართული მანჯანიკის ტაშტი, რომელშიაც პარკსა ხარშვენ. ცოტა მოშორებით სდგას ჯარა, რომლის ჯარატრებზე ასხმულია პატარა კოქები; მანჯანიკის ტაშტიდან აბრეშუმის ძაფის წვერი გატარებულია ჯარასთან და მოხვეული კოქებზე; ჯარას ატრიალებს ერთი კაცი და აბრეშუმი მანჯანიკის ტაშტიდან ეხვევა ამ კოქებზე. აქვე ახლო კერძო პირებს გამოეფინათ აბრეშუმეულობა; საინტერესო ნაქსოვ-ნაქარგი არაფერი იყო. ამის შემდეგ გაყოლებულ იყო ჩარდახები, სადაც გამოეფინათ ადგილობრივ დამზადებული ჭურჭლეულობა თიხისა, ხისა და ჩინურისა. საყურადღებო არა იყო რა. აქვე გვერდზე გამოეფინათ ადგილობრივ ნაქსოვი ხალიჩა-ფარდაგები. ყურადღებას იპყრობდა ორი ხალიჩა, ერთი ორი ალლის სიგანისა და 15 ალლის სიგძისა, ღირებულ 500 მან. და მეორე ლამაზ ფერადებით მოქსოვილი ოთხი ადლის განისა და 8 ად. სიგძისა, ღირებულ 800 მან. აქვე იყო პატარა პავილიონი, სადაც გამოეფინა მექვაბეთა ამხანაგობას მის მიერ დამზადებულ სპილენძის ჭურჭლეულობა. საყურადღებო იყო ზოგიერთს ნივთზე ამოჭრილი ჩუქურთმები, და სახეები; მაგ., მეჩეთები, ხეები და სხვა სურათები. ხევის მეორე ნაპირზე დაედგათ სამიოდე ყირღიზული სახლი (კიბიტკა) იმათებურად მოწყობილი. სკობელევიდან 37 ვერსტის სიშორეზე არის ქვანახშირის მადანი, რომელიც ეკუთვნის სააქციონერო საზოგადოებას „ყიზილ-ყია“-ს. ამ საზოგადოებას გაემართნა ცალკე პავილიონი, სადაც მოეწყოთ მთელი წარმოების სისტემა, მოდელები, სურათები, ნიმუშები ქვა-ნახშირის, მაღაროებისა, მანქანებისა და სხვა. საზოგადოებას 1908 წ. ამოუღია 200.000 ფუთი; 1913 წ. უკვე 3.802.000 ფუთი. მაღაროების სიღრმე ყოფილა 14—40 საჟ; ჰყოლია 1300 მუშა. ფასი ქვა-ნახშირისა 5 გოჯიანისა და მეტი—28 კ., 1—5 გოჯ.—16 კ., 1/2—1 გოჯ. 10 კ., და 0—1/2 გოჯ.—6 კ. ფუთი. ამ ჟამად ეს ქვანახშირი ვრცელდება ფერგანაში შეშის და მაზუთის მაგივრად, როგორც უფრო იაფი. ამ პავილიონის ცოტა მოშორებით გამართულ იყო სატყეო გამგეობის განყოფილება: აქ იყო გამოფენილი რა ჯიშის ხეც კი მოიპოვება ფერგანის ოლქში. საზოგადოდ, ფერგანის ოლქში ძალიან ცოტა ჯიშის ხეა; ტყე აქ არ არის; ტყე მხოლოდ შორს მთებში მოიპოვება; მთის წინა კალთები სულ მოტიტვლებულია; ვაკეზე კი იზრდება, ისიც სოფლებში, ჭადარი, ტირიფი, ფშატი, აქა-იქ თელა და თუთის ხე აი ამ ხეების ტოტებს სჭრიან და ხმარობენ შეშად. ხმარობენ აგრეთვე გამხმარ ბამბის ღეროს და ერთგვარ ეკალს. ამით მიდიან იოლას აქაურები. მთაში ხარობს ნიგოზი, ნეკერჩხალი, არყის ხე, ასე სულ ოციოდე ჯიშისა. აქვე გამოეკიდნათ სხვა და სხვა ხისაგან დამზადებული იარაღები და ჩონგურები. კედლები პავილიონისა დაფარული იყო ყველა იმ ნადირის ტყავეულობით, რომელნიც კი მოიპოვებიან ფერგანის ტყეებში: მელა, გარეული ღორი, თხა და სხვა. აქვე მოეყვანათ ფრინველები: კაკბები, მაინა (პატარა ფრინველია, შაშვს წააგავს, მწვანე ყელიფრთით) და ბუ. აქვე ეწყო კოლექცია ბალახებიდან გაკეთებული ფხვნილები, საღებავად და წამლად სახმარი და თვით მცენარეებიც. 60 სხვა და სხვა ჯურის თესლეულობა ტყის ხილისა. უწყებას ხარჯი ჰქონია 1903 წ. 36.168 მან. 83 კაპ., 1912 წ. 70.724 მ. 67 კ., შემოსავალი 1903 წ. 44.332 მ. 96 კ., 1912 წ. 171.413 მანეთი 38 კაპ., მოსამსახურე ყოფილა 1904 წ. 69 კაცი, 1912 წ. 117 კაცი. 1904 წ. შეუდგენიათ 466 ოქმი, ზარალი 5929 მან.—1909 წ. 1.277 ოქმი, ზარალი 14.356 მან. 1912 წ. 941 ოქმი, ზარალი 11.482 მან. ამ უწყების გვერდზე მოეწყო თავისი პავილიონი პამირის ოქროს—მწარმოებელ ამხანაგობას. აქ იყო გამოფენილი ნიმუშები, ოქროსი (მადანში), ქვა-ნახშირისა, ტყვიისა, რკინისა, თუნუქისა, ბროლისა, სპილენძისა, თაგვ-შაქარასი, ტყის სანთლისა ამ სანთლისაგან გამოხდილი სითხე (ჯერ, თურმე არ იციან რაში გამოდგება ეს სითხე და ახ რა სახელი ეწოდება) და შაბი, მდინარე ჯარგუჩაკეზე ნაპოვნი. ხევის მეორე ნაპირზე იყო პატარა კოხტა პავილიონი, სადაც კერძო პირებს გამოეფინათ მეფუტკრეობის ნაწარმოები: თაფლი და სანთელი. საჩვენებლად ჩამოეტანათ რამდენიმე სხვა და სხვა ჯიშის ფუტკარი. საყურადღებო იყო კოლექცია იმ მცენარეთა, რომლიდანაც ფუტკარი იღებს ნექტარს და აკეთებს თაფლს. ეზოში ეწყო თაფლის სადნობი და სკის ორთქლით სადეზინფექციო იარაღები. მახლობლად მოეწყო პატარა პავილიონი მორწყვის სამმართველოს. თურქესტანში საზოგადოდ, და კერძოდ ფერგანაში, უწყლოდ არაფერი არა ხარობს. თუ ნათესი არ მოირწყო, არაფერი არ მოვა.

სარწყავი წყლის საკითხი მეტად მწვავეა აქ და მთავრობაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ საქმეს. ყველა სოფელში და ქალაქში გამოყვანილია არხები, ზოგი მთიდან მომდინარე ხევებიდან, ზოგიც მდინარე ყარა-სუდან და სირდარიიდან. მიუხედავად ამისა, წყალი მაინც არ არის საყოფი და ხშირად მცხოვრებნი ერთმანეთს შეეტაკებიან ხოლმე და კაცის კვლაც ხშირია. აი ამ მორწყვის სამმართველოს გამოეკიდნა სურათები სხვა და სხვა არხისა. ერთი მოდელი წყლის გამყოფ-კარებისა, რომელიც აშენებულია დიდს არხზე, ჩეკ-ჩუვალდანზე. აქ იყოფა წყალი და გადის რამდენიმე პატარა არხით და აძლევენ მცხოვრებთ სარწყავად; სასმელადაც არხების წყალსა ხმარობენ. მახლობლად გზის პირას მოეწყოთ ბაკები, მოეყვანათ ოთხიოდე სამუშაო საქონელი, ოთხი ცხენი, ათიოდე ცხვარი და თხა. აქაური ცხენი საჯდომად არ ვარგა—ისე ვერ გაივლის, რომ არ წაიბორძიკოს და თუ ხამი კაცი შეჯდა, კისერს მოატეხინებს. ცხვარი და თხა მეტად მსხვილი ჯიშისაა. ცხვრის ხორცს დიდი გასავალი აქვს, ორჯერ ატყავებენ, გირვანქა 20 კ. ღირს. ძროხის ხორცი არაფრად მიაჩნიათ, გირვანქა 8—9 კ. ღირს. მთავარ პავილიონის გასწვრივ, მეიდანზე იყო აღმართული დიდი ფიცარი, რომელზედაც წარმოდგენილია სახელ. ბანკს ანგარიშები: წვრილი კრედიტისა, საკრედიტო ამხანაგობანი და სხვა. საკრედიტო ამხან. ყოფილა 1907 წ. 1., 1913 წ. უკვე 131. სახელ. ბანკს გაუხსნია კრედიტი 1911 წ.—24,475 მ., 1913 წ. 369,689 მ., მონაწილენი ყოფილან 1910 წ.—411—1912 წ. უკვე 17,703 კაცი. შეტანილი ყოფილა ფული 1911 წ.—16,545 მან. 50 კაპ., 1912 წ.—130,677 მ. წვრილ კრედიტისთვის მიუციათ 1911 წ.—62,386 მ., 1912 წ.—902,759 მ. 97 კ., პირველ დღეს გამოფენა დაათვალიერა 2000 კაცმა, შემოსავალი იყო 790 მ.

განწირული.

სახალხო განათლების სამინისტრომ განაპირა ქვეყნების სკოლების მასწავლებელთა მატერიალურ უზრუნველყოფისათვის კანონ-პროექტი შეიმუშავა, რომელიც მინისტერთა საბჭოს 1914 წლის დასასრულ გაეგზავნება.

პეტერბურგის პედაგოგთა საზოგადოებას ნება მისცეს საშობაოდ პეტერბურგში მოიწვიოს კრება სრულიად რუსეთის უშინსკის სახელობის მასწავლებელთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელნი.

მიწად-მოქმედების მთავარმა სამართველომ გადასწყვიტა მიიღოს 4 მილიონამდე დესეტინა სახაზინო თავისუფალი მიწა თურქესტანის მხარეში. 1914 წლისთვის განზრახულია ამავე მხარეში გაიმიჯნოს 1,365,000 დესეტინა მიწა.

გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული სამხედრო სამინისტროს წესდება ჯარში გასაწვევ ფარმაცევტთა და ფერშალთა ჯარშივე განაწილების თაობაზე.

სრულიად რუსეთის მეხილეთა მებაღეთა და მევენახეთა კრებამ დაასრულა მუშაობა და დაადგინა გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი მეხილეობისა, მებაღეობისა და მევენახეობისა და ყოველ სამ წელიწადში გაიმართოს სრულიად რუსეთის კრება.

პალატამ დაარღვია ოლქის სასამართლოს დადგენილება გაზ. „რუსის" რედაქტორის მიმართ, რომელსაც სამი თვის ციხე ჰქონდა გადაწყვეტილი. რედაქტორი სუვორინი პალატამ გაამართლა.

ნოვოჩერკასკი. ნოვოპეტროვის სლობოდაში შავი ჭირით გარდაიცვალა 3. ავად არის 2 კაცი; კალჩში ავად არის 1, გარდაიცვალა 1. ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 23, გარდაიცვალა 15 კაცი.

მინსკი. სოფელ კლევკაში მიწის თხრის დროს მუშებმა იპოვეს მე-15 და მე-16 საუკუნეთა ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფულები.

უსტსისოლსკი. საერობო კრებამ 28 ათასი გადასდო ქალთა გიმნაზიის ასაშენებლად. გადაწყდა 10 დაწყებითი სახელოსნო და სამი უმაღლესი დაწყებითი სკოლის გახსნა.

ბეილისის საქმე.

კიევი. ჩვენებას ართმევენ ბრაზულ-ბრუშკოვსკის. გაზეთების ცნობებს დაუინტერესებია მოწმე, როგორც გაზეთის თანამშრომელი. მკვლელობის თაობაზე სხვადასხვა გვარი ვერსიები იყოო. მიშჩუკმა პრიხოდკოების ბინაზე შავ-მოწითლო ლაქები აღმოაჩინა: გაზ. „ზემშჩინასა" და „ნოვოევრემიაში" ბევრსა სწერდნენ რიტუალურ მკვლელობაზე. ამ საქმის თაობაზე შეკითხვაც შეიტანეს სათათბიროში, გამოძიება კრასოვსკის მიანდვეს, რომელსაც ვიგრანოვი ეშველებოდა. ხელმეორედ დაიჭირეს იუშჩინსკის მშობლები. მოწმე არა ერთხელ შეჰხვედრია კრასოვსკის, რომელიც საუბარს გაურბოდა. როდესაც ბეილისი დაატუსაღეს, კრასოვსკის მოწმესთან აიგლიჯა საკინძები გადააგდო პორტუპეია და სთქვა, უდანაშაულო ადამიანი დაატუსაღესო. აგვისტოში წასვლისას კრასოვსკის უთქვამს: „არაფერი მესმის, ყველაფრის გამოცანა—ვერა ჩებერიაკიაო". მოწმეს ამიტომ ჩებერიაკი გაუცვნია. ენკენისთვეში ვიგრანოვს წინადადება მიუცია მოწმისთვის ჩემთან იმუშავეო და ჩებერიაკი გაუცვნია. პირველად ჩებერიაკი არაფერს ამბობდა, ხოლო შემდეგ უთქვამს მოწმისთვის: 600 მანეთი ძლიერ ცოტა საჩუქარია საქმის გამორკვევისთვისო. 600 მანეთს პოდპოლკოვნიკი ივანოვი აძლევდა ჩებერიაკს. ნოემბერში ჩებერიაკს გადაუცია მოწმისთვის გამომძიებელ ფონენკოს საუბარი. გამომძიებელს უთქვამს ყველაფერი გამოირკვევაო. ჩებერიაკს დაცინვით მოუხსენებია გამომძიებლის სიტყვები. ნოემბრის ბოლო რიცხვებში ჩებერიაკს უთქვამს მოწმისთვის გავიგებ ანდრიას ამბავს და გეტყვიო. ხოლო 1 დეკემბერს თავპირ შეხვეულს უთქვამს: „ქუჩაში მცემეს სულ კი თქვენი გულისთვის. აწ აღარ მოგეშველებიო". 4 დეკემბერს ვიგრანოვს განუცხადა, მიფლემ მცემაო. შემდეგ მოწმეს უთხრა, პრიხოდკომ და მიფლემ მცემესო. მოწმე ამ ამბავს შეუწუხებია და მარგოლინისთვის უამბნია ეს ამბავი და ჩებერიაკი გაუცნობებია. ჩებერიაკმა მოითხოვა, ხარკოვში გიამბობთ ყველაფერსო. მარგოლინს ხარკოვში საქმე ჰქონია და დასთანხმდა, ჩებერიაკს მოვუსმენო. ჩებერიაკი მარგოლინთან ორჯერ იყო, მაგრამ არ კი უთქვამს რა, ხოლო ვიგრანოვისა და მოწმისთვის უთქვამს: მინდა ჩემი შვილების მოწამვლის ჯავრი ამოვიყარო მარიამ მიფლეზე, რომელმაც ჩემზე იყარა ჯავრი თავისი შვილის პავლეს გამო, რომელსაც მე თვალები ამოვწვიო". მოწმეს მარგოლინის რჩევით ყველაფერი ეს ფონენკოსთვის უცნობებია, რომელსაც მოწმისთვის უთქვამს: „თქვენ კარგი საქმე მოახერხეთ, ხელი არ შეუშვათ". ფონენკოს ბინაზე ერთმანეთს შეხვდნენ ბრალმდებელი ზაპენინი, მისი თანაშემწე ლაშკარევი, ვიგრანოვი და მოწმე. ფონენკო ამბობდა, რომ ეჭვი მიფლეზე აქვს. ფონენკოს მალიცკის ქალის ჩვენება გაუცვნია მოწმისთვის. ამის შემდეგ ბრაზულს გაუგია, რომ ბეილისზე ოქმი დაადგინესო და გადაუწყვეტია პროკურორისთვის 18 იანვარს განცხადება მიეცა და გაზეთებში გამოეცხადებინა. პოდპოლკოვნიკ ივანოვს მოწმესთვის უთქვამს, ყველაფერი ეს ჩემთვის უნდა გეცნობებინაო. კიდევ დაიწყო ჩვენებების ჩამორთმევა. მახალინმა აღუთქვა მოწმეს დახმარება. მარტში ჩამოვიდა კრასოვსკი და განაცხადა გამოძიებას ვიწყებო, სურდა თავი გაემართლებინა მთავრობის წინაშე და მოწმისთვის უთქვას, ეს სულ ქურდების საქმეაო, საყვედურს ეუბნებოდა მოწმეს, განცხადება რათ შეიტანეთ, მე და შენ ამ საქმეს დავასრულებდითო. ამ დროს მახალინს მოწმისთვის კარაევი გაუცვნია, რომლისთვისაც მოწმეს ჩებერიაკის ძმის გაცნობა დაუვალებია. ჩებერიაკის ძმას უთქვამს, მკვლელობის კვალის აღმოჩენა ადვილი არ არისო. მოწმისთვის აპრილის ბოლო რიცხვებში ივანოვს უთქვამს, ყველაფერი დასრულდებაო. ამას გაუკვირვებია ბრაზული და 5 მაისს ივანოვისთვის განცხადება მიუცია და სიტყვა მისცა არ გამოვაქვეყნებ გაზეთებშიო და ურჩევია მახალინს, კარაევს და სიგნაევსკის ნუ შეეკითხებით, რადგან საფრთხილოა არ შეშინდნენო. მიუხედავად ამისა „კიევლიანინში" გამოაქვეყნეს: ბრაზულის განცხადება, მოწმემ გადასწყვიტა დაებეჭდა განცხადება 31 მაისს და კიევიდან წავიდა. ბრალმდებელს მოწმე უპასუხებს გამოძიებას ჩემი სურვილით შევუდექიო. ხარკოვში ას მანეთამდე დავხარჯე, თვეში სამასამდე ვიღებო. „კიევსკაია მისლს" არავითარი კავშირი აქვს საქმესთან, მირჩევდნენ თავი გაანებე ძიებასო. ფასტოვიდან ებრაელი ექიმი მოვიდა და მიამბო უბნის ზედამხედველი კობზარენკოს ნათქვამი, მკვლელს ბორისი ჰქვია. კობზარენკოს გამასწორებელი რაზმი აქვს მისჯილი. ზამისლოვსკის შეკითხვაზე მოწმე თავის დაახლოვებულებას ჩებერიაკთან სამ პერიოდად ჰყოფს: პირველი ნდობის ხანი, მეორე ეჭვისა და უნდობლობის და მესამე—როცა დარწმუნდა რომ ჩებერიაკი მკვლელია. ზამისლოვსკის უკვირს, რატომ ენდობოდა ჩებერიაკს მოწმე, როცა ეჭვით ეკიდებოდა მასო. მოწმე უარჰყოფს, ჩებერიაკისთვის არც ფული შემიძლევია, არც დამცველებს შევპირებივარ და თავისთავზე მიღებაც მკვლელობისა არ მირჩევნიაო. სტუდენტს მახალინს წინადადება მიუცია მოწმისთვის, კავკასიაში მყავს ნაცნობი, რომელიც ბევრს გამოარკვევსო. ეს ნაცნობი კარაევი გამოდგა, რომელსაც მოწმის სიტყვით დიდი ნაცნობობა აქვს, თუმცა დამოკიდებულება მახალინთან შეიცვალა შემდეგშიო. ზამისლოვსკი დაასკვნის, დუქანში ქურდების ნახვის შემდეგ უჯეროდითო. მოწმეს მახალინი კრასოვსკისთვის გაუცნობებია. შმაკოვს მოწმე უპასუხებს, რიტუალური მკვლელობა არა მჯეროო. პროკურორი წინად კარგ გზაზე იდგა, შემდეგ ტენდენცია შევამჩნიე და განცხადება მივეციო. ბავშვს ჰქონდა თუ არა ქონება მოწმემ არ იცის. მარგოლინს მოწმე ენდობა. გრუზენბერგსა და კარაბჩევსკის ბრაზული უპასუხებს, მას შემდეგ როდესაც გამოძიება დავიწყე, იუშჩინსკის ნათესავთაგანი არ დაუტუსაღებიათო. პოლიშჩუკი მოწმესთან 1911 წელს ყოფილა, სიღარიბეს ჩიოდა და მოწმეს 3 მან. მიუცია. როოსტის რესტორანში იაბლონოვსკი ყოფილა. ლაშკარიოვს მოწმისთვის უთქვამს: „მომეცით პატარა საბაბი და ჩებერიაკს სამართალში მივცემო". როდესაც „კიევლიანინში" მოწმის განცხადება დაიბეჭდა, მოწმესთვის უთქვამს ივანოვს: ეხლა ყველაფერმა ჩაიარა, აღარაფრის გაკეთება შეიძლება". მარგოლინი ჩებერიაკს გამომძიებელთან ვერ უცვნია, ხარკოვში სხვა იყო ჩემთანაო უთქვამს. ივანოვი მოწმეს ეუბნებოდა მკვლელობის გამო: „რის რიტუალური, რა რიტუალურიო". 1912 წელს ჩებერიაკს რიტუალურ მკვლელობის ამბავი სიცილად არ ჰყოფნიდა. კარაევს გაუგია, სინაგევსკისაგან, მკვლელობა გრუდზინსკის საქმე იყოო. მეორე ჯერ შეკითხვის დროს ბრაზული ამბობს, კარგად მახსოვს 4 იანვარს ლაშკარევმა მითხრა: „თქვენ ქალაქური ქორები გაგიგონიათ, საბრალმდებლო ოქმს არ შეადგენენ, განაგრძეთ თქვენი მუშაობაო".

მოწმეს პეტროვისთვის 50 თუმანი ჩვენების დადასტურებისთვის არ მიუცია. პეტროვი ამტკიცებს 25 მანეთი გადაიხადა ჯარიმა რევოლვერის ტარების გამო, რასაც მოწმეც ადასტურებს. ნაფიც მსაჯულთა შეკითხვაზე,—ბრაზულს და მის ამხანაგებს ხომ არ შეუძლევიათ ჩებერიაკისთვის ფული, პეტროვი ამბობს არაო. ბრაზულის გამომძიებლებთან ნაჩვენებს აქვეყნებენ, რადგან ზოგიერთი წინააღმდეგობა აღმოჩნდა ეხლანდელ და წინანდელ ჩვენებებს შორის. პროკურორს მოწმე უპასუხებს, საქმემ ძლიერ გამიტაცა, ყველაფერი დავაგირავე, ყველაფერზე ხელი ავიღე და მარტო ამ საქმეს ვდიეო. ზამისლოვსკის კითხვაზე—ზნეობრივად სთვლის თუ არა მოწმე კაცის დათრობას და მერმე სიტყვების გამოტყუებას—მოწმე უპასუხებს: ეს კრასოვსკის და კარაევის საქმე იყო და მე წინააღმდეგობა ვერ გავწიეო. და ასეთ საქმეში კეთილშობილურ საკითხებს ადგილი არ ჰქონდაო. კარაბჩევსკის მოწმე უპასუხებს, საშუალებათა კეთილშობილებაზე ფიქრი არ შემეძლო, რადგან მკვლელობის გამომჟღავნებას დღე-დღეზე მოველოდი; დიდმა გონორარმა და მომავალში სახელის მოლოდინმა, თუ საქმეს გამოვარკვევდი, გამიტაცესო.

შეეკითხებიან ჩებერიაკს. მარგოლინთან ხარკოვში ბრაზულმა წამიყვანა, სასტუმროს ნომრიდან განცხადება ჩამოვგლიჯე, რომ დამემტკიცებინა ხარკოვში ყოფნაო.

დაიწყო 11 საათზე მარგოლინის ჩვენების ჩამორთმევა, რომელიც იმეორებს ბრაზულის ნაამბობს.

შემოწირულება

ბატონო რედაქტორო! გაახლებთ რა ამასთანავე ამ წლის 16 ივლისს გამართულ სეირნობის ანგარიშს შემომწირველთა სიით ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სამტრედიის განყოფილების სასარგებლოდ, უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ იგი თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში. შემოვიდა: შესასვლელ ბილეთებიდან 177 მან. 83 კ., ამერიკული ბაზრიდან 89 მ. 70 კ., ყვავილებისა და კონფეტებიდან 44 მ., ბუფეტიდან 83 მ. 74 კ., ტომბოლადან 1 მ. 77 კ., შემოწირულება ფულად 56 მ. 90 კ. სულ 453 მ. 94 კ.

დაიხარჯა: მუსიკა 15 მ., ზურნა 5 მ., ლუდი და მინერალური წყლები 25 მ. 49 კ., კომფეტები და ბისკვიტი 32 მ. 75 კ., ქათამი, გოჭი, ყველი და სხვა 22 მ. 65 კ., ღვინო და არაყი 10 მ. 80 კ., შაქარი, ჩაი და პაპიროსი 6 მ., კონფეტტი და ქაღალდის ხელსახოცები 4 მ. 28 კ., ქათმების შეწვა და სანთელი 3 მ. 20 კ., საზამთრო და ნესვი 90 კ., მებაღეს 3 მან., აფიშა, მაშხალები, ფარნები, ბარათები 27 მ. 84 კ., პატენტი, თოკი, დროგი, ლენტები და სხვა 25 მ. 5 კ., დაკარგული კალათები 1 მ. 50 კ, მუშას 1 მ., ბაღის შეკავება და კიოსკების დადგმა 10 მან. სულ 194 მ. 46 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 259 მ. 48 კ.

ფულად შემოსწირეს: ევტიხი კაცაძემ 1 მ., ივანე კუფელდმა 1 მ., მიხეილ ხოლმენკომ 1 მ., ზედგინიძემ 50 კ., ირაკლი პაპავამ 1 მ., ნიკო ხეჩუაშვილმა 1 მ., გ. [illegible] 50 კ., ივანე ჯანელიძემ 90 კ., ლავრენტი შენგელიამ 30 კ., ერისტო კოხრეიძემ 20 კ., სევერიანე ჯვარიშეიშვილმა 30 კ., ალექსი ქართველიშვილმა 20 კ., ბეგლარ კოპალეიშვილმა 20 კ., იოსებ შენგელიამ 20 კ., ევგენი დუნდუამ 20 კ., სოლომონ ფუთურიძემ 20 კ., შალიკო გოგოლაშვილმა 50 კ., სიმონ ჩიგოგიძემ 50 კ., მიხელ მოსიძემ 10 კ., ივანე გელაზიანიამ 20 კ., კონსტანტინე ახობაძემ 25 კ, ალექსანდრე ფრუიძემ 50 კ., ნიკიფორე რამიშვილმა 40 კ., კოწია ლეჟავამ 10 კ., ალექსი ბერაძემ 50 კ., ვასილ მურადოვმა 50 კაპ., იაკობ ჩაკვაშვილმა 50 კ., ვანო კანდელაკმა 50 კ., ალექსი გიგინეიშვილმა 50 კ., ანტონ კრავეიშვილმა 50 კ., დავით ლორიამ 20 კ., იოსებ ბახტაძემ 1 მ., დომენტი ქაჯაიამ 50 მ., გიორგი სტურუამ 20 კ., ილია მეგრელიშვილმა 1 მ., იოსებ ჟორჟოლიანმა 60 კ., ალექსანდრე ტერდავიდოვმა 1 მ., მაქსიმე მომფორიამ 50 კ., ალექსანდრე ჯანელიძემ 20 კ., დიმიტრი სტეფანიდიმ 1 მან., ზეიდ სამედოვმა 10 მ., სპირიდონ სიხარულიძემ 6 მ., მიხელ მიქაძემ 5 მ., ლიზა ფუთურიძისამ 15 კ., პელაგო დიდიძისამ 20 კ., ეფისო ბალანჩივაძისამ 25 კ., მაშო ქეიშვილისამ 1 მ., მარია ბერაძისამ 1 მან. ნიკოლოზ მელქაძემ 15 კ., მელიკო კოპალეიშვილმა 20 კ., ლიზა ფარულავამ 15 კ., პელაგო ადამიამ 10 კ., მინადორა ბახტაძისამ 30 კ., მაშიკო მოსიძისამ 10 კ., ფილიპე კაცაძემ 50 კაპ., ოლინკა კიკაჩეიშვილმა 20 კ., ნინო ბახტაძისამ 10 კ., ნატალია ბალანჩივაძისამ 10 კ., არამ პომონიანცმა 1 მ.

ამერიკული ბაზრისთვის შემოსწირეს სხვადასხვა ნივთები ღირებული:*)

სპირიდონ სიხარულიძემ 11 მ. 40 კ., ირაკლი რუსიამ 1 მ., გიგო სანაძემ 1 მ., გრიგოლ ხუნწარიამ 65 კ., სტეფანე გეგიამ 30 კ., აფრასიონ ცერცვაძემ 1 მ., ფოტ. ხუხიამ 1 მ. 50 კ., აპოლონ პაპავამ 2 მ., ბიქტორ ხელაიამ 55 კაპ., ნესტორ კიკაჩეიშვილმა 1 მ. 50 კ., ანდრია დუნდუამ 1 მ. 40 კ., გიორგი გვარამაძემ 4 მ., კალაძის წიგნის მაღაზიამ 1 მ. 80 კ., ავეტიკ ჩარუხჩიანცმა 25 კ., არამ გრიგორიანმა 40 კ. დავით ლორიამ 1 მ. 25 კ., ხარებავა დ ჯულელმა 2 მ. 50 კ.

(დასასრული იქნება)

---

*) ნივთების ჩამოთვლა შეუძლებელი გახდა, რადგანაც უმისოდაც ბევრი ადგილი დაიჭირა. რ. ბ.

რედაქტორი ა. ჭუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

იყიდება მაღაზიებში ახალი რამდენიმე შრომა
ტ. მ. ფილიპიანცისა
ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში მყოფის კომერციულ ცოდნათა კურსების გამგისა
I
სახელმძღვანელო
ორმაგი იტალიური სისტემის სავაჭრო და ბანკის ბუღალტერიის თეორია და პრაქტიკა. წიგნში 470 გ. და ღირს 3 მანეთად.
II
სახელმძღვანელო
კომერციული ანგარიში კომერციულ სასწავლებელთა, სავაჭრო სკოლათა, კომერციულისა და საბუღალტერო კურსებისთვის ფასი 1 მ. 30 კ.
III
სავაჭრო ქაღალდთა ცოდნა
კომერციულ კურსების პროგრამის მიხედვით შედგენილი, ფასი 80 კაპ. მთავარი საწყობი კურსებზე (ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 24. ტელ. № 976). ვინც პირდაპირ კურსებისგან გამოიწერს ბუღალტერიის სახელმძღვანელოს, გასაგზავნ ფულს არ გადაიხდის. 691

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული ღ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.
ფასი 1 მანეთი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
საავადმყოფო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ა. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ა. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, ბავშვთა, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1004

ქართლის საუფლისწულო მამული,
აზრად აქვთ გასცენ იჯარით ხანგრძლივი ვადით ვენახი, სივრცით ოცი დღიური, მდებარე სამი ვერსის მანძილზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქსნის სადგურიდან. იჯარის პირობების გაგება შეიძლება მხოლოდ პირადად მამულის კანცელარიაში, რომელიც იმყოფება სოფელ მუხრანში, რვა ვერსის მანძილზე, ქსნის სადგურიდან. 680

ოქროს მედალი ოქროს მედალი


Золотая медаль.
Золотая медаль.
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ НА ВСЕРОССИЙСКУЮ ВЫСТАВКУ ВЪ Н.НОВГОРОДѢ въ 1896

GRAHD-PRIX
შ ა ლ ი ე რ ი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
ო. მ. უზნანსკის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

თუმანს მოიგებს დღეში



ადამიანი ჩვენს ახლად გამოგონილი ფერტოპიული მანქანით — „ფორტუნა", რომელიც ერთი წუთის განმავლობაში დღის სინათლეზედაც კი იძლევა სრულიად გამოხულს და მზა ფოტოგრაფიულ სურათს.
საჭირო არარაა ცოდნა, მეცნიერება ან ბნელი ოთახი. ყუთი ივსება დღის სინათლეზე 25 ლითონ. ფირფიტით. მანქანა ლამაზადაა გაკეთებული, ნიკელის ჯამით სურათების გამოსაყვანად, კლიტე ლითონის ჩამოსაშვებით, მუქი შუშით. უფასოდ დაერთვის 12 ფირფიტა, 1 ჩარჩო და 1 ინდიმატი ფირფიტების გამოსაღებად დასურათ, რუსული სახელმძღვანელო. ფასი 7 მ. 75 კ. (გამოგზავნა 50 კ.).
თუ თქვენ მარჯვე ხართ,
შეგიძლიათ გაიჩინოთ ახალი შემოსავალი.
საჭირო არ არის საგანგებო ოთახი. შეიძლება გადაღება მოედანზე, იარმუკებზე და სავაჭრო ადგილებზე; ყოველ წუთს შეგეძლებათ ფულის შეძენა. მანქანა „ფორტუნა" დიდად საყურადღებოა აგრეთვე ფოტოგრაფიის მოყვარეთათვის, ნამდვილ სურათისა და დროის გასატარებლადაც კარგია. იგზავნება უბრალოდ და ფასდადებით.
ადრესი: „Т—во Патентъ", Варшава, Св. Креста, № 30. Отд. 95.
Метцль. 37989 1360

სავაჭრო უფლებიანი სკოლა და საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
15 ოქტომბრიდან გაიხსნება პარალელური განყოფილება კურსებისა მეცადინეობა კურსებზე საღამოს 7½ საათზე დაიწყება. სკოლაში მიღება დილის 8—3 საათამდე. 1 თუმანოვის ქუჩა № 13. მიღება კურსებზე საღამოს 6—10 საათამდე. მიხეილის პროსპ. № 17. 678

გამოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!
სხვა ადგილებიდან საათებს ნუ გამოუდგებით!
კარგ საათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.
— პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! —
საათი „ხრონომეტრის" სისტემისა 5 მ. 25 კ. 200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, ვირჩევთ „ხრონომეტრს", რომელიც მოხერხებულობით და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება „ხრონომეტრს" ლითონი კარგი ღირსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14⁰/₀ კარატ. ოქროს სქელ ხევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა, ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ზუმბით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წყრიალით, 15 ქვიანი, პრტული, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებულია. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ.; 4 ცალი—19 მ. 50 კ., ფასები ნაღდები დაიდეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად—40 კ., (ციმბირში—75 კ.). ყოველ საათს უფასოდ ვატანთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებობით ფასდადებით და უბოდ.
Берлинъ 35. Berlin
I. STRUMFELD Klosterstr, № 42.
მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურულ წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ.
Метцль. № 61483. 1579

მივიღეთ საყინულე-მატარებლით პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.
ამურის წითელი ხიზილალა |კეტოვი|, სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა კოლოფით ღ ხმელი სოკო. 150
პუშკინის ქუჩა, სახუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".